



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

## ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკის ანალიზი: პრაქტიკა და გაცხადებული მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა

*ანალიზი მომზადებულია პროექტ „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას*



Kingdom of the Netherlands

## შინაარსი

ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი.....	4
ნარკოტიკული საშუალებების შექმნა, შენახვა ან მოხმარება – სტატისტიკური მონაცემების ანალიზი .....	4
რა არის შემთხვევითი ნარკოლოგიური შემოწმების საერთაშორისო სტანდარტი?.....	9
რა რესურსი იხარჯება ნარკოლოგიურ შემოწმებაზე?.....	10
ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღება.....	11
„სააფთიაქო ნარკომანია“ .....	11
ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაცია .....	13
დასკვნა .....	15

## ძირითადი მიგნებები

- ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს ისე ქვეყნისვე გაცხადებულ სტრატეგიას. სტრატეგიაში საუბარია მიწოდებისა და მოთხოვნის შემცირებაზე, ზიანის შემცირებაზე განათლებასა და რეაბილიტაციაზე, მაშინ, როდესაც არსებული პრაქტიკა დიდ წილად მომხმარებლის დასჯაზეა ორიენტირებული;
- ბოლო 4 წლის განმავლობაში რეგისტრირებული სისხლის სამართლის ნარკოტიკული დანაშაულების რაოდენობამ 34%-ით იკლო: 2014 წლის 7,312 შემთხვევიდან 2017 წლის 4,762-მდე. იმავე პერიოდის განმავლობაში ამ დანაშაულთა 92-93% გაიხსნა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია;
- 2013-2017 წლებში, ნარკოტიკული საშუალებების შეძენა, შენახვა ან მოხმარების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობა სამჯერ შემცირდა: 2013 წლის 12,274 შემთხვევიდან 2017 წლის (პირველი 10 თვე) 3,416-მდე;
- თუ დავუშვებთ იმას, რომ ყველა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს კანონით გათვალისწინებული 500 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა, მაშინ მივიღებთ, რომ 2013-2017 წლებში ასეთი ჯარიმების ოდენობა სულ შეადგენს 17,816,000 ლარს;
- 2014-2017 წლებში თითქმის ხუთჯერ შემცირდა ნარკოტიკულ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობა (50,865-დან 11,653-მდე), ხოლო სამჯერ შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც დადებითი შედეგი აჩვენეს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე. ეს ტენდენცია დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ეს პოლიტიკური ნება კანონმდებლობით არ მყარდება, ტენდენცია ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, რომ უმოკლეს ვადებში საკანონმდებლო დონეზე გამოირიცხოს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა დევნა;
- ბოლო 4 წლის განმავლობაში, ნარკოტიკული შემოწმებების დადებითი პასუხის წილმა მოიმატა მთლიანი შემოწმებების რაოდენობის მეოთხედიდან ნახევრამდე;
- მინიმალურ ფასებზე დაფუძნებული მიახლოებითი გამოანგარიშების მიხედვით, ბოლო 4 წლის მანძილზე ნარკოლოგიურ შემოწმებაში დაიხარჯა მინიმუმ 2,448,520 ლარი, საიდანაც 1,670,940 ლარი (68%) იმ პირებზე დაიხარჯა, რომლებსაც არ აღმოაჩნდათ ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერება;
- მაშინ, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე ათობით ათასი ადამიანი დაჯარიმდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის 2016 წელს მხოლოდ 10, ხოლო 2017 წელს – 36 პირი იყო დაკავებული. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასა და გასაღებაზე დაკავებულ პირებს შორის ასეთი დიდი რაოდენობრივი განსხვავება აჩენს კითხვებს ქვეყნის ნარკოპოლიტიკის პრიორიტეტებთან მიმართებით.
- საქართველოში ნარკოდასაშაულთან ბრძოლის ყველაზე გავრცელებული მეთოდის – იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება – შესახებ გაეროს მოსაზრება ასეთია: ტესტირება არ არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ის არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ატარებს სოციალური კონტროლის სახეს, ზოგი ტესტი შეცდომით აჩვენებს დადებით შედეგს და არ ხდება მისი გადამოწმება, ტესტირებით ვერ ხდება ნარკომომხმარებელთა და ნარკოდამოკიდებულთა დიფერენცირება.

## შესავალი

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მიმართ არსებული პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე დისკუსია უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. 2017 წელს ეს პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა და საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა [კანონპროექტი](#), რომელიც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასა და მომხმარებელთა სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებას ისახავს მიზნად.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო [სტრატეგიისა](#) და [სამოქმედო გეგმის](#) მიზანი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემცირება, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ნარკოტიკული საშუალებების მიწოდებისა და უკანონო ბრუნვის შემცირებაა. სახელმწიფოს სტრატეგია არ მოიაზრებს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა დასჯას, თუმცა, სტატისტიკური მონაცემები სხვა რეალობაზე მიუთითებს – სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ნაკრომომხმარებლებს მკაცრად სჯის.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) 2015 წელს გამოაქვეყნა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სტატისტიკის [ანალიზი](#) და ხაზი გაუსვა ნარკომომხმარებელთა რეაბილიტაციის პროგრამების საჭიროებას. ამავე სტატიაში IDFI-მ გამოყო ის ძირეული პრობლემა, რაც ნარკოდანაშაულისთვის სამართლიანი და პროპორციული სასჯელის დაწესებასთან დაკავშირებით არსებობს. კერძოდ, IDFI-მ მიუთითა, რომ არ არსებობს მცირე ოდენობის ზღვარი მთელი რიგი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის, რის გამოც მოხმარების მიზნით მიზერული ოდენობის ფლობაც კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.


ეს პრობლემები 2018 წლისთვისაც გადაუჭრელი რჩება. სწორედ ამიტომ, საინტერესოა, განვიხილოთ 2018 წლამდე არსებული სტატისტიკური მონაცემები, ნარკოტიკული საშუალებების ფლობის, გასაღებისა და მოხმარებისთვის სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, IDFI-მ გაანალიზა შინაგან საქმეთა სამინისტროში (შსს) არსებული სტატისტიკური მონაცემები 2013–დან 2017 წლამდე (მოცულია 2017 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემები).

## ნარკოტიკული საშუალებების შეძენა, შენახვა ან მოხმარება – სტატისტიკური მონაცემების ანალიზი


შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის სტატისტიკის შესაბამისად რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულების რაოდენობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია დანაშაულებს შორის.

რაც შეეხება წლების მიხედვით სტატისტიკას, ბოლო 4 წლის განმავლობაში კვების ტენდენცია შეინიშნება და შემთხვევების რაოდენობამ 34%-ით იკლო [2014](#) წლიდან (7,312) [2017](#) წლამდე (4,762) (იხ. სურათი #1). სისხლის სამართლის კოდექსით (სსკ) გათვალისწინებული

ნარკოტიკული დანაშაულების გახსნის სტატისტიკა 2014-დან 2017 წლამდე მაღალი იყო და 92-93% შორის მერყეობდა (იხ. სურათი #2).



**წყარო:** შსს-ს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა: [2014-2015 წლები](#); [2016-2017 წლები](#)




**წყარო:** შსს-ს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა: [2014-2015 წლები](#); [2016-2017 წლები](#)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით შეძენა, შენახვა ან მოხმარება იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, 15-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას. შსს-ს მონაცემებით, ასეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ყველაზე მეტი – 12,274 პირი 2013 წელს დაჯარიმდა, რის შემდეგაც, მომავალი 4 წლის განმავლობაში, რაოდენობა თითქმის ოთხჯერ შემცირდა და 2017 წელს 3,416-მდე იკლო (იხ. სურათი #3). გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის მონაცემები მხოლოდ ოქტომბრის ჩათვლით არის ხელმისაწვდომი და არ მოიცავს შსს-ს მიერ დეკემბერში

ჩატარებულ ორდღიან [საპოლიციო კონტროლს](#), რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით [52,000-მდე პირი](#) გადამოწმდა.

თუ დავუშვებთ იმას, რომ ყველა პირს ჯარიმა დაეკისრა, რადგან ადმინისტრაციული პატიმრობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, მაშინ მივიღებთ, რომ 2013 წელს ასეთი ჯარიმების სახით ბიუჯეტის შემოსავალმა 6,137,000 ლარი, 2014-ში – 4,067,000 ლარი (8,134 პირი), ხოლო 2017 წლის 10 თვის განმავლობაში – 1,708,000 ლარი შეადგინა. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, შსს-ს მონაცემებთან შედარებით მცირედით მაღალია იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც [სასამართლოს](#) მიერ იგივე სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ, თუმცა ტენდენცია მსგავსია და ისიც კლებას განიცდის.




**წყარო:** IDFI-ის მიერ შსს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია და უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა რაოდენობის შესახებ

მცირე ოდენობების შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას შსს სტატისტიკას არ ამუშავებს ნარკოტიკული ნივთიერებების სახეობების მიხედვით. ამიტომ, შეუძლებელია დეტალური ანალიზის გაკეთება, თუ რომელ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ეხებოდა ზემოაღნიშნული სამართალდარღვევები.


2017 წლამდე კლებას განიცდის ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წარდგენილ პირთა რაოდენობაც. ეს ტენდენცია დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, IDFI-ის მოსაზრებით, ეს რაოდენობები კვლავ საკმაოდ მაღალია. კერძოდ, 2017 წლის 10 თვის განმავლობაში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წარდგენილი იყო 11,653 პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში შსს დღეში საშუალოდ 38 ადამიანს წარადგენდა შემოწმებაზე. წარდგენილთაგან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ნახევარზე ნაკლებ პირს დაუდგინდა. **შედეგად, 38 პირიდან შსს დღეში**

საშუალოდ 20 ისეთი ადამიანის შემოწმებაზე ხარჯავდა ფინანსურ და დროის რესურსს, რომელთაც არ დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება.

ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წარდგენილ პირთაგან, 2014-2017 წლების განმავლობაში, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დადებით შედეგებს მხოლოდ მცირე რაოდენობა აჩვენებდა. კერძოდ, 2014 წელს 14,005 პირს დაუდგინდა მოხმარება, რაც შემოწმებულ პირთა რაოდენობის მეოთხედიც კი არ არის. 2016 წელს შემოწმებულთაგან თითქმის მესამედს, ხოლო 2017 წელს თითქმის ნახევარს დაუდგინდა დადებითი შედეგი (იხ. სურათი #4 და #5).



*წყარო: IDFI-ის მიერ შსს-დან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები*



*წყარო: IDFI-ის მიერ შსს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია*

2015 წელს, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ევროკომისიის მესამე ანგარიშში საქართველომ მიიღო [რეკომენდაცია](#) ქუჩის დაუგეგმავ ნარკოტესტირებასთან დაკავშირებით. კომისიამ აღნიშნა, რომ საჭიროა ამ პროცედურის სამართლებრივი კონტროლის

შემოღება. ეს რეკომენდაცია [შესრულებულადაც](#) ჩაითვალა შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 წლის #725 [ბრძანების](#) მიღების შემდეგ. ბრძანებაში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის სამი ძირითადი საფუძველი განისაზღვრა:

- 1) ფაქტის უშუალოდ შესწრება;
- 2) პოლიციის მიერ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში პირის იდენტიფიკაციის, ზედაპირული და სპეციალური შემოწმების, სპეციალური საპოლიციო კონტროლის და ადგილის დატოვების მოთხოვნის დროს პირის მიერ ზემოქმედების ქვეშ ყოფნის საკმარისი საფუძველის არსებობა; და
- 3) შეტყობინება კონკრეტული პირის შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულ ამ ბრძანებას შეგვიძლია ნაწილობრივ დაუკავშიროთ შემოწმებაზე გადასაყვან პირთა რაოდენობის კლება.

ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის საფუძველები ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ შემოწმების ძირითადი მიზანი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან ბრძოლაა. ისეთ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ექნებოდა ქმედითი მექანიზმები მოხმარების პრევენციისთვის, ხოლო მოხმარებისთვის არსებული სასჯელები იქნებოდა ლიბერალური და გამოირიცხებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, აღნიშნული შესაძლოა პრევენციის საფუძველებით ყოფილიყო გამართლებული. დღევანდელი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში, მაშინ, როდესაც პირს დაუდგინდება მოხმარების ფაქტი, მას დაეკისრება ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ჯარიმის ან თავისუფლების აღკვეთის სახით. ასეთი პირი არ ექვემდებარება სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, რადგან ქვეყანაში არ არის დანერგილი სრულყოფილი სარეაბილიტაციო პროგრამები და ის ძირითადად „მეტადონის პროგრამით“ შემოიფარგლება. შესაბამისად, ნარკოტესტირების საფუძველების არსებობიდან, ტესტის შესაბამისი პასუხის მიღებამდე, პირი შესაძლოა მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე დადგეს და იგი უზრუნველყოფილი არ იქნება შესაბამისი პრევენციული პროგრამებით.

ასეთი სამართლებრივი წესრიგი ცალსახად ეწინააღმდეგება ქვეყნის პოლიტიკურად გაცხადებულ მიზნებს. კერძოდ, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო [სტრატეგიისა](#) და [სამოქმედო გეგმის](#) პრინციპებია პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, პიროვნებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, ადამიანის ღირსების პატივისცემა და უფლებების დაცვა, საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ხელშეწყობა. პრინციპების შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებები კი მიმართულია ცნობიერების ამაღლების, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირებისკენ. თუმცა, სამართლებრივი წესრიგი აცდენილია ამ თანმიმდევრობას და მოხმარებელთა ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ დასჯას ემსახურება.

ამასთან, მართალია ევროკომისიის რეკომენდაციების შემდგომ ჩამოყალიბებულმა საფუძველებმა ერთი შეხედვით ქუჩის შემთხვევითი ნარკოტესტირების შესაძლებლობა შეზღუდა, რასაც სავარაუდოდ უკავშირდება შესამოწმებელი პირების რაოდენობის კლება 2015 წლიდან, თუმცა, საპოლიციო კონტროლი შემთხვევითი შემოწმების შესაძლებლობას კვლავ იძლევა. მართალია, კანონის ჩანაწერით საპოლიციო კონტროლი სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე და განსაზღვრული დროით უნდა ჩატარდეს, თუმცა, 2017 წლის ბოლოს სპეციალური კონტროლი განხორციელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ორი დღის



განმავლობაში. ასევე, საექვო და პრობლემურია შემოწმების მესამე საფუძველი, რაც შეტყობინების საფუძველზე პირის შემოწმებას გულისხმობს, აღნიშნული, შეტყობინების შემოწმების ბერკეტი ფაქტობრივად არ არსებობს და შესაძლოა ესეც ქუჩის შემთხვევითი/იძულებითი ნარკოტესტირების საფუძველად იქნეს გამოყენებული. სწორედ აღნიშნული ხარვეზია განხილული „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ერთ-ერთ [კვლევაში](#).

## რა არის შემთხვევითი ნარკოლოგიური შემოწმების საერთაშორისო სტანდარტი?

საინტერესოა განვიხილოთ შემთხვევითი ნარკოლოგიური შემოწმების (ე.წ. „random drug testing“) საერთაშორისო სტანდარტები. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) [განხილული](#) აქვს ნარკოტესტირების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები სამუშაო ადგილზე. მართალია, გაეროს კვლევა ეხება მხოლოდ კერძო ან საჯარო სექტორში დამსაქმებლის მიერ თანამშრომლებისთვის შემთხვევით სავალდებულო ნარკოტესტირების მოთხოვნას, თუმცა მისი შედეგების განზოგადება ასევე შეიძლება ნარკოტესტირების გამოყენებაზე სამართალდამცველების მიერ. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში სამუშაო ადგილზე ტესტირების ყველა სასარგებლო არგუმენტის წინააღმდეგ არსებობს საწინააღმდეგო არგუმენტები. კერძოდ, ასეთი **ტესტირება არ არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ის არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ატარებს სოციალური კონტროლის სახეს, რომელიც აფერხებს დასაქმებულის ცხოვრების წესს და არ აუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს, ზოგი ტესტი შეცდომით აჩვენებს დადებით შედეგს და არ ხდება მისი გადამოწმება, ტესტირებით ვერ ხდება ნარკომომხმარებელთა (drug users) და ნარკოდამოკიდებულთა (drug abusers) დიფერენცირება.**

ამავე დოკუმენტში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ძალიან მცირეა არგუმენტები ნარკოლოგიური შემოწმების საჭიროებისა და ეფექტიანობის შესახებ და საჭიროა დამატებითი კვლევა ამ მიმართულებით. ამასთან, საჭიროა ინდივიდუალურად შეფასდეს თითოეული შემთხვევა და ნარკოლოგიური შემოწმება გამოყენებული იყოს მხოლოდ ნარკოდამოკიდებულთა პრობლემებზე სრულყოფილი მუშაობის ერთ-ერთ ნაწილად.

UNODC-ის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვის [დოკუმენტში](#) განხილულია სასკოლო პოლიტიკა, რომელშიც ხშირადაა გამოყენებული ნარკოლოგიური შემოწმება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ამაზე დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ არსებული მტკიცებულებების შესაბამისად, **შემთხვევითი ნარკოტესტირებას პრევენციული შედეგის თვალსაზრისით ან არ აქვს შედეგი ან აქვს ნეგატიური შედეგები.**

გარდა ამისა, IDFI-მ გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ნიდერლანდების სამეფოს პროკურატურისგან, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ქუჩიდან აყვანილი, ე.წ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ნარკოტიკულ საშუალებაზე შემოწმება (random drug testing), პირების შესახებ. პროკურატურის ინფორმაციით, ასეთი პრაქტიკა ნიდერლანდების პროკურატურას არ გააჩნია, შესაბამისად, არ არსებობს სტატისტიკაც.


ამის პარალელურად, შსს-ს მიერ მოწოდებული სტატისტიკა ყოველწლიურად შემოწმებაზე გადაყვანილი პირების საკმაოდ მაღალ ციფრს აჩვენებს, რომელშიც გაერთიანებულია, როგორც ნარკოდანაშაულში და სისხლის სამართლის სხვა საქმეებზე დაკავებული პირები, ისე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების მოხმარების დასადგენად შემოწმებაზე წარდგენილი პირები.

## რა რესურსი იხარჯება ნარკოლოგიურ შემოწმებაზე?

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ ოფიციალურ [ვებგვერდზე](#) განთავსებული ტარიფებით შარდში ნარკოტიკულ ნივთიერებაზე კვლევის ღირებულება 20 ლარია, თითოეულ დამატებით ნივთიერებაზე ემატება 5 ლარი, სტანდარტულ 5 ნივთიერებაზე შემოწმების ღირებულება კი 40 ლარია. 5 სტანდარტულ ნივთიერებაში იგულისხმება - მარიხუანა, მორფინი, ამფეტამინი, მეტადონი და ბუპრენორფინი.

ექსპერტიზის ბიუროს ტარიფების მიხედვით შსს-ს მიერ ჩატარებული ნარკოტიკული შემოწმების მინიმალური საერთო ღირებულება 2014 წელს იქნებოდა 1,017,300 ლარი (50,865 შემოწმებული), აქედან კი 737,200 ლარის ღირებულების იქნებოდა იმ ადამიანების შემოწმება, რომლებსაც არ დაუდგინდათ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. 2017 წლამდე, როგორც აღვნიშნეთ, შეიმჩნეოდა შემოწმებულთა კლების ტენდენცია, შესაბამისად, იკლებდა შემოწმების საერთო ღირებულებაც და 2017 წელს შეადგინა 233,060 ლარი, აქედან – 118,040 ლარი იმ პირების შესამოწმებლად, რომელთაც არ დაუდგინდათ მოხმარება (იხ. სურათი #6).

შეჯამებისთვის, ქვეყნისთვის ნარკოლოგიური შემოწმების ღირებულებამ 4 წლის მანძილზე შეადგინა მინიმუმ 2,448,520 ლარი, საიდანაც 1,670,940 ლარი იყო ისეთი პირების შემოწმების ღირებულება, რომელთაც არ აღმოაჩნდათ ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერება. რეალური ღირებულების გამოთვლით ეს დანახარჯი შესაძლოა საგრძნობლად მაღალი იყოს, რადგან სტატიაში მოცემული ციფრები მინიმალური ფასებითაა დათვლილი.



წყარო: მინიმალურ ფასებზე დაფუძნებული გამოანგარიშება

## ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღება


ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებასთან ბრძოლა საყოველთაოდ აღიარებული პრიორიტეტია. გაეროს [კონვენცია](#) ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი დევნის აუცილებლობას. ამასთან, საქართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო [სტრატეგია](#) ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდების შემცირებას აღიარებს. ხოლო, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2018 წლების [სამოქმედო გეგმის](#) პირველივე ამოცანა ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდების შემცირებას ეძღვნება.

ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მხრივ საქართველოში არსებული ვითარება კი პრაქტიკაში ასე გამოიყურება: მაშინ, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე ათობით ათასი ადამიანი დაჯარიმდა, შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის 2016 წელს მხოლოდ 10 პირი იყო მოთავსებული, ხოლო 2017 წელს ეს რაოდენობა 36-მდე გაიზარდა. **ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასა და გასაღებაზე დაკავებულ პირებს შორის ასეთი დიდი რაოდენობრივი განსხვავება აჩენს კითხვებს ქვეყნის ნარკოპოლიტიკის პრიორიტეტებთან მიმართებით. კერძოდ, რამდენად ეფექტიანად ებრძვის სახელმწიფო ნარკოტიკების გასაღებას და უშლის თუ არა მას ამაში ხელს ძირითადი რესურსების მიმართვა მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლისკენ.**

## „სააფთიაქო ნარკომანია“

საქართველოში არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკის ფონზე გამოიკვეთა ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის“ პრობლემა. ამას შსს-ს მიერ მოწოდებული სტატისტიკაც ცხადყოფს, სადაც 2014 წლიდან მოყოლებული მცენარე კანაფის შემდეგ ყველაზე მეტ პირს ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება დაუდგინდა (იხ. სურათი #7).

## სურათი #7 - დადებითი შედეგი ნარკოტიკული ნივთიერების სახეების მიხედვით



**წყარო:** IDFI-ის მიერ შსს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

ნიშნდობლივია, რომ 2014-დან 2017 წლამდე დადებითი შედეგი ყველაზე ხშირად მცენარე კანაფის პროდუქტების მოხმარებაზე გამოვლინდა. ამის შემდეგ მოდის ფსიქოტროპული ნივთიერებების, ხოლო შემდგომ ოპიუმისა და ბუპრენორფინის (ე.წ. სუბოტექსი) მოხმარებელთა რაოდენობა.


„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის წესის დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება – 1,000 ლარის ოდენობით. ამასთან, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის (გაცემის) წესის დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 6,000 ლარით, ხოლო განმეორებითი ქმედება – 12,000 ლარით. პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი და მასთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალება.<sup>1</sup>

IDFI-მ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია 2015-2017 წლებში აფთიაქების მიერ ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ

<sup>1</sup> სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულია ყველა ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ ოთხ [სიაში](#), ხოლო, მასთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #22/ნ [ბრძანებაში](#).

გაყიდვის შემთხვევების შესახებ. მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის წესების დარღვევის გამო შედგენილი იყო 113 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, აქედან – 63 რეალიზაციის წესების დარღვევის გამო, მათგან განმეორებით – 29. უმნიშვნელოდ გაიზარდა ეს სტატისტიკა 2016 წელს, მხოლოდ 2 ოქმით. მართალია, 2017 წელს სამართალდარღვევის ოქმების საერთო რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა მცირედით გაზრდილია რეალიზაციის წესების გამო გამოწერილი ოქმების რაოდენობა, ხოლო, განმეორებითი დარღვევის გამო შედგენილი ოქმების რაოდენობა შემცირდა (იხ. სურათი #8).

პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით გამოწერილმა ჯარიმებმა 2015-დან 2017 წლამდე უმნიშვნელოდ იკლო. თუ 2015 წელს ჯარიმებმა 204,000 ლარი შეადგინა, ხოლო განმეორებით გამოწერილმა ჯარიმებმა – 348,000 ლარი. 2017 წლის 10 ნოემბრამდე მდგომარეობით, ოქმებით გამოწერილი ჯარიმების საერთო ჯამი იყო 264,000 ლარი, განმეორებითი დარღვევისთვის – 276,000 ლარი. აღნიშნული ჯარიმებით ბიუჯეტში შემოსული თანხა შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ ციფრებისგან, რადგან სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.




*წყარო: IDFI-ის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია*

## ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაცია


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2015-დან 2017 წლამდე ჩანაცვლებითი თერაპიით (ე.წ. „მეტადონის პროგრამა“) მოსარგებლეთა რაოდენობა იზრდებოდა. 2017 წელს ასეთი პირების რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა (იხ. სურათი #9). ამ ტენდენციას, ერთი შეხედვით, ლოგიკურად მიყვებოდა “ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობისთვის” გამოყოფილი [ბიუჯეტი](#). თუმცა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ [ანგარიშებში](#) ფაქტიური

დანახარჯები მხოლოდ მცირედით ზრდას ასახავდა. მაგალითად, იმის პარალელურად, როდესაც 2017 წელს პაციენტთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა 2015 წელთან შედარებით, ბიუჯეტის ფაქტიურმა დანახარჯმა მხოლოდ 900,000 ლარით ზრდა აჩვენა (იხ. სურათი #10). მიუხედავად იმისა, რომ ჩანაცვლებითი თერაპიით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაიზარდა მკურნალობის ბიუჯეტიც, სახელმწიფომ ამ თანხის სრულად ათვისება ვერ შეძლო.

ნარკოდამოკიდებული პირების რეაბილიტაცია საქართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, როგორც სტატისტიკისა და ბიუჯეტის ანალიზმა გვაჩვენა, სახელმწიფოს ამ სტრატეგიულ პრიორიტეტს პრაქტიკული განხორციელება ეფექტიანად ვერ მიყვება. ამასთან, სახელმწიფოს სარეაბილიტაციო პროგრამა და შესაბამისი ბიუჯეტიც სტაციონარული დეტოქსიკაციისა და ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელებას [ხმარდება](#).



*წყარო:* საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების შესახებ [ანგარიში](#)



*წყარო: IDFI-ის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია*

## დასკვნა

სტატისტიკის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა დევნა. კერძოდ, წლიურად ათასობით ადამიანის გადაყვანა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. IDFI-ის მოსაზრებით, ამ მიმართულებით გადასახედია ძალოვანი უწყებების პრაქტიკა, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს ევროპული ქვეყნების პრაქტიკასა და საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის სტრატეგიული დოკუმენტების პრიორიტეტებთან. მართალია, 2015 წელს დაიხვეწა შემოწმებაზე გადაყვანის სამართლებრივი რეგულირება, თუმცა ამ მიმართულებით საჭიროა გაგრძელებული მუშაობა და მაქსიმალურად გამოირიცხოს დაუსაბუთებელ შემოწმებაზე გადაყვანის შესაძლებლობა.

სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობამ მნიშვნელოვანი კლება განიცადა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ნება კანონმდებლობით არ მყარდება აღნიშნული მყიფე მიღწევად უნდა ჩაითვალოს და უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს საკანონმდებლო დონეზე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა დევნის გამორიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მიღწევა შესაძლოა ნებისმიერ დროს დაზიანდეს.

ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები შედის ბიუჯეტში ნარკომომხმარებელთა და ფსიქოტროპული აფთიაქების დაჯარიმების შედეგად. IDFI-ის მოსაზრებით, ეს თანხები ეფექტიანად უნდა იქნეს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო კამპანიებზე, ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციაზე. ამასთან, ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები.

IDFI იზიარებს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი [კანონპროექტის](#) პრინციპებს და მიიჩნევს, რომ რეფორმა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სტრატეგიული დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და სამომავლოდ მათ მეტად დახვეწას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ნდობას სამართალდამცავი უწყებების მიმართ.